

### ვ. ენდელაძე

---

#### ანტიკური ლიტერატურა

#### მეორეხარისხოვანი მისანი პერსონაჟები ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში

**ვახტანგ ენდელაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო  
endeladze1994@gmail.com

მთავარ გმირთა სახის გახსნაში მეორეხარისხოვან პერსონაჟებს დიდი ფუნქცია აკისრიათ. ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში მეორეხარისხოვანი პერსონაჟების საშუალებით წარმოჩნდება მთავარი გმირის სახე, მისი სიმამაცე თუ უძლურობა. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, ხშირ შემთხვევაში, ეხმარებიან მთავარ გმირებს ამა თუ იმ სიძნელისა თუ დაბრკოლების გადალახვაში. არის შემთხვევები, როდესაც მეორეხარისხოვანი პერსონაჟები მთავარ გმირებს, დახმარების ნაცვლად, პირიქით, ხელს უშლიან დასახული მიზნის მიღწევაში. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, რა თქმა უნდა, ვერ მოექცევიან ისეთივე ყურადღების ქვეშ, როგორც მთავარი გმირები, მაგალითად, აქილეუსი, იასონი, მედეა, ან ენეასი, მაგრამ, ისინი ხშირად უფრო ეფექტურნი არიან, ვიდრე ეპიკური გმირები. სტატიაში ვაჩვენებთ, რა ფუნქცია აქვთ ისეთ მეორეხარისხოვან პერსონაჟებს ანტიკურ ეპიკურ ტექსტებში, როგორებიცაა, მაგალითად, მისნები. მთავარ გმირებს სწორედ ისინი უადვილებენ სავალი გზის სირთულეებს და სთავაზობენ გონივრულ რჩევებს, რომლებიც, საბოლოოდ, გმირებს სასურველ შედეგებამდე მიიყვანს ხოლმე.

**საკვანძო სიტყვები:** მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, ეპიკური პოეზია, ანტიკური გმირი, ლიტერატურა.

მთავარ გმირთა სახის გახსნაში მეორეხარისხოვან პერსონაჟებს დიდი ფუნქცია აკისრიათ. ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში მეორეხარისხოვანი პერსონაჟების საშუალებით წარმოჩნდება მთავარი გმირის სახე, მისი სიმამაცე თუ უძლურობა. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, ხშირ შემთხვევაში, ეხმარებიან მთავარ გმირებს ამა თუ იმ სიძნელისა თუ დაბრკოლების გადალახვაში. არის შემთხვევები, როდესაც მეორეხარისხოვანი პერსონაჟები მთავარ გმირებს, დახმარების ნაცვლად, პირიქით, ხელს უშლიან დასახული მიზნის მიღწევაში (ველონი 2014: 142-145). მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, რა თქმა უნდა, ვერ მოექცევიან ისეთივე ყურადღების ქვეშ, როგორც მთავარი გმირები, მაგალითად, აქილეუსი, იასონი, მედეა, ან ენეასი, მაგრამ, ისინი ხშირად უფრო ეფექტურნი არიან, ვიდრე ეპიკური გმირები (გაჩეჩილაძე 1957). ანტიკურ

ეპიკურ ტექსტებში, გარდა ჩვეულებრივი ადამიანური თვისებებისა თუ ძალების მქონე პირებისა, აქტიურად არიან ჩართულნი მისანი პერსონაჟები. მათი ფუნქციური დანიშნულება არის ის, რომ მთავარ გმირს წინასწარ განუცხადონ მომავალი საფრთხისა თუ სიხარულის შესახებ. მათი საშუალებით მთავარი გმირები წარმატებით ასრულებენ ამა თუ იმ დავალებას, რომელსაც ღმერთების ნება თუ ზედისწერა აკისრებთ (გორდეზიანი 2014: 88).

ამ მხრივ, „ოდისეადან“ საინტერესო პერსონაჟია მოხუცი ჰალითერსე - ფრინველთმისანი, რომელმაც ითაკელთა გასაგონად მაშინ წარმოთქვა სიტყვა, როდესაც ორმა არწივმა ფრთების ძლიერი ფრაშფრაშით გადაუფრინეს ითაკელთა სახლებს. ჰალითერე ამბობს: „მომისმინეთ, ითაკელნო, სასიძოების საგულისხმოდ ვამბობ ამ სიტყვას. დიდი ხიფათი ემუქრება მათ. სამშობლოდან შორს აღარ უნდა იყოს ოდისევსი. სადმე ახლოს, ალბათ, სიკვდილს უმზადებს სასიძოებს და არა მარტო მათ, - შორითსაჩინარი ითაკის ბევრ მკვიდრს დაადგება შავი დღე“ (ჰომ., ოდის., 2,155-160).

მისან ჰალითერსესის ფუნქცია ამ ეპიზოდში ისაა, რომ იწინასწარმეტყველა ოდისევსის მშობლიურ სასახლეში დაბრუნება და სასიძოების დაღუპვა. „ოდისეას“ მეათე სიმღერაში არის ერთი ეპიზოდი, სადაც კირკე ეუბნება ოდისევსს: „სამშობლოში დაბრუნებამდე კიდევ ერთი ძნელსავალი გზა გიძევთ: ჯერ პირქუში ჰადესისა და ზარდამცემი პერსეფონეს საუფლოს უნდა გაცდეთ. იქ თებელი უსინათლო ქადაგის - ტირესიასის სულს უნდა ამკითხვინოთ, რადგან შავეთში მხოლოდ მას შერჩა წინასწარ ხედვის ნიჭი. პერსეფონეს წყალობით მხოლოდ მასა აქვს მორჩმული იმგვარივე სიბრძნე, სამზეოში რომ ახლდა. სხვები გონამხდარნი აჩრდილებივით დაფარფატებენ სულეთში“ (ჰომ., ოდის., 10, 560-565). მისან ტირესიასს აქ ის ფუნქცია აკისრია რომ მთავარ გმირს - ოდისევსს მისნობა უნდა განუცხადოს. საინტერესო პერსონაჟია მისანი თეოკლიმენე, რომელიც პენელოპეს ეუბნება: „ოდისევსის ღირსო მეუღლე, ნამდვილი არ სცოდნია შენს ვაჟიშვილს. აწ მე გეტყვი და ენდე ჩემს სიტყვას. მეხისმტყორცნელ ზევსსა და ოდისევსის კერიას გეფიცები, რომ აქ, მშობლიურ ითაკაზეა ამ სახლის პატრონი. სადღაც ახლომახლო ტრიალებს და დაღუპვას უმზადებს თავხედ სასიძოებს. ჯერ კიდევ პილოსში არწივის გამოჩენამ მიმანიშნა ეს ამბავი, როცა ხომალდზე ასვლას ვეპირებოდით“ (ჰომ., ოდის., 17, 150-160). მისანი თეოკლიმენე პენელოპეს მოსალოდნელი სიხარულის იმედს უღვივებს და ამცნობს, რომ მისი მეუღლე მალე დაუბრუნდება (ბოკერია 1989: 121-124).

„არგონავტიკის“ პირველ წიგნში, როცა გმირები გზად დაკარგავენ ჰერაკლეს და დიდად წუხან ამის გამო, აპოლონიოს როდოსელი

### ვ. ენდელაძე

მოიხსენიებს ღვთაებრივ მისანს - გლავკოსს, რომელიც ვაჟკაცებს მიმართავს: „რად გსურთ, დიადი ზევსის ნების წინააღმდეგ აიეტის ქალაქისაკენ წაიყვანოთ მამაცი ჰერაკლე? მას ბედით უწერია, გაისარჯოს და უწყალო ევრისტევსს არგოსში ყველა (თორმეტი) დავალება შეუსრულოს, შემდეგ კი, მცირეოდენ სხვა რამესაც გააკეთებს, ვითარცა შინაურმა უკვდავთა შორის იცხოვროს; ამიტომ მის გამო ნუღარ იდარდებთ“ (აპოლ., როდ., არგ., 1, 1310-1320). მისანის ფინქცია ისაა, რომ გმირებს წუხილი გაუქარვოს და დაარწმუნოს ისინი, რომ ჰერაკლეს ცუდი არაფერი მოუვა, მისანი განუმარტავს არგონავტებს, თუ როგორ შეასრულებს ჰერაკლე თორმეტ დავალებას.

არის ხოლმე ისეთი წინასწარმეტყველებანი, რომელთა გამჟღავნება მისნის ვალდებულებას არ წარმოადგენს და თუ ეს უკანასკნელი ამას გაბედავს, ღმერთი საკადრისად დასჯის კიდეც მას (გაფრინდაშვილი 2011: 95-96). სწორედ ასე დაისაჯა მისანი ფინევსი მისნობათა წინასწარ გამჟღავნების გამო. იგი ყველას ეუბნებოდა, ვის რა მოელოდა. მისი პორტრეტის აღწერისას ავტორი ხაზს უსვამს, რომ იგი იყო მოხუცი, უსინათლო და მისი სასჯელი იმაში მდგომარეობდა, რომ ჰარპიები საჭმელს სტაცებდნენ. მისანი ფინევსი ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივ, რომ მან უწინასწარმეტყველა არგონავტებს, თუ რა გზა ელოდათ წინ (აპოლ., როდ., არგ., 2, 330-350).

„ენეიდას“ მეხუთე წიგნში არის ასეთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი - მოხუცი ნავტე, რომელსაც ავტორი მოიხსენიებს სიტყვებით „განსწავლული“ და „დიდი ცოდნით სახელგანთქმული“. წორედ მას შეუძლია უთხრას ენეასს, თუ რა იწვევს ღმერთების რისხვას, რა უმზადებს მას ბედისწერა:

„ქალღმერთის ძეო, უნდა დავყვეთ ნებას ბედისა,  
რაც უნდა გველოდეს, მოთმინებით მივიღოთ ხვედრი!  
შენ გყავს აკესტე, დარდანელი და ღვთისმცერი,  
მას შეუთანხმდი, მისი რჩევა მიიღე თანაც.  
დატოვე აქვე, ვინც დაღუპულ გემთაგან დარჩა,  
ან ვისაც უმძიმს შენთან ერთად შორი მგზავრობა.  
გადაარჩინე მხცოვანები, ზღვით გატანჯულნი,  
მანდილოსანნი, დავრდომილნი და მშიშარანი“.

(ვერგ., ენეიდ., 5, 705-715).

„ენეიდაში“ საინტერესო პერსონაჟია მისანი სიბილა, რომელიც ენეასს უწინასწარმეტყველებს, თუ რა ელის წინ. ავტორი სიბილას მიმართავს ენეასისადმი შემდეგი სიტყვებით წარმოგვიდგენს:

„ნუ დანებდები ავბედობას, გულადად დადექ,  
არ გიღალატებ ბედისწერა, ხოლო გზა ხსნისა,

რომ არ მოელი, ისე მოვა ბერძნების მხრიდან“,-  
ასე უთხრა და კვლავ განაგრძოსიბილამ ტამრად  
შმაგი სიმღერა, კვლავ მოუხმო გამოქვაბულში“.

(ვერგ., ენიდ., 6, 90-95).

ენეასს, ღმერთებისა და ადამიანების მსგავსად, მისანთა გვერდით დგომა და გულშემატკივრობაც დიდ ძალას მატებს, რათა დასახულ მიზნამდე მივიდეს. ერთ-ერთი ასენი მისანია მოხუცი ტიბერი, რომელსაც აპოლონიოს როდოსელი მოიხსენიებს, როგორც „მდინარისა და ადგილის ღმერთს“. იგი გმირს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„სახელოვანო, დიად ღმერთთა შთამომავალო,  
მტერთაგან ტროის, პერგამოსის დამბრუნებელო,  
შენ მოგელოდა ლავრენტუმი, ლათინთ ველები!  
აქ გელის ბინა საიმედო და პენატები.  
ზურგს ნუ შეაქცევ მათ და ომი ნულარ გაშინებს,  
გაქრა ღმერთების მრისხანება და გულისწყრომა.  
რომ არ გეგონოს ნატყუარი ზმანება ნახე,  
გეტყვი: ნაპირთან მუხის ძირში იპოვი დიდ ქუბს,  
მას ოცდაათი გოჭი ჰყავს და ზურგზე დაწოლილს  
თეთრი გ\*-ოჭები შესევინ მსუყე ცურებთან.  
ქალაქის ფუძე აქ იქნება და შრომის ბოლოც“.

(ვერგ., ენიდ., 8, 35-40).

„ოდისეას“ მეცხრე სიმღერაში, როცა ოდისევსი კიკლოპ პოლიმეფეს თვალს დაუვსებს, წასვლისას მას დაუძახებს, ვინმემ რომ გკითხოს, თვალი ვინ ამოგთხარაო, უთხარი, ლაერტეს ძემ, ოდისევსმაო. პოლიმემეს მაშინვე გაახსენდება და იტყვის, მისანმა ტელემოსმა მიწინასწარმეტყველა, რომ ვინმე ოდისევსი დაგივსებს თვალსო. აქ მისანი ტელემოსი იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ მან წინასწარ იცის, თუ როგორ დასჯის ოდისევსი კიკლოპს. ის, რომ ჰკუაუხვმა გმირმა კიკლოპის გამოქვაბულს თავი მშვიდობიანად დააღწია, ღმერთების ნებაც იყო და თავად გმირის ძალისხმევის შედეგიც (ასათიანი 1996: 45-48).

„ენეიდას“ მეათე წიგნში, როცა ზღვაში მყოფ ენეასს შეხვდება ენამჭევრი კიმოდოკეა, ზღვის ქალღმერთი, რომელსაც მისნობის ნიჭიც აქვს, გმირს ეუბნება – ხვალინდელი დღე, თუ ჩემი სიტყვის გჯერა, ურიცხვ რიტულის გვამს განგმირულს იხილავს ველზეო. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, ენეასი დიდად გაიხარებს და ღმერთს მიმართავს:

„უკვდავთ დედაო, იდეელო, ქალაქთ ქომაგო  
ქონგურიანთა, ლომთა მეტრფევ, ჯუფთად შებმულთა!  
საომრად მიხმოზ, ამიხდინე მისნობაც ჩქარა

### ვ. ენდელაძე

---

და გულმოწყალებად გადმოხედე შენს ფრიგიელებს!“.

(ვერგ., ენეიდ., 10, 250).

საინტერესო პერსონაჟია „ენეიდაში“ აპოლონის ქურუმი, რომელიც ენეასს უმისნებს და, ფაქტობრივად, მთელი სიცხადით გადაუშლის თვალწინ იმ სურათს, რაც წინ ელოდება. ასევე, ეუბნება, რომ მოუწევს ქარიბდასა და სკილას შორის გავლა. იგი შემდეგი სიტყვებით მიმართავს გმირს:

„ქალღმერთის ძეო, შენ რომ ზღვაზე გაჰყვე მისნობას,  
ცხადზე ცხადია, ბედის რიგი მოატრიალა  
ღმერთთა მეუფემ, შენი ხვედრი ასე განაგო.  
ბედის სვლას გაჰყვე, ცოტას გეტყვი, თუმც ბევრი ვიცი,  
მსურს ზღვა განვლო და მხნედ ეწვიო ავზონთ ნაპირებს.  
მე ხომ პარკები არ მაძლევენ მეტის თქმის ნებას.  
იუნო, შვილი სატურნუსის, მიკრძალავს სიტყვას.  
ახლოს რომ ეძებ იტალიას და უმეცარი  
მიესწრაფები ახლომახლო ნავმისადგომებს,  
მისგან მრავალი ქვეყანა და გზები გაშორებს“.

(ვერგ., ენეიდ., 3, 375-380).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეორეხარისხოვანი მისანი პერსონაჟები გამორჩეული არიან იმით, რომ ისინი წინასწარ უცხადებენ მთავარ გმირებს, თუ რა ელით რაც, თავისთავად ცხადია, გმირს უადვილებს ამა თუ იმ საძნელო საქმის შესრულებას.

### ლიტერატურა

ვერგილიუსი. 1976. ენეიდა. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

როდოსელი აპ. 1975. არგონავტიკა. თარგმნა აკაკი ურუშაძემ. თბილისი: სახელგამი.

ჰომეროსი. 2011. ოდისეა. თარგმნა ზ. კიკნაძემ, თ. ჩხენკელმა. თბილისი: პალიტრა L.

ჰომეროსი. 2013. ილიადა. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ასათიანი, ვ. 1996. ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში. თბილისი: თსუ.

ბოკერია, ვ. 1989. ლიტერატურის თეორია. თბილისი: Palitra L.

გორდეზიანი, რ. 2014. ბერძნული ლიტერატურა. თბილისი: ლოგოსი.

გაფრინდაშვილი, ნ., მირესაშვილი, მ. 2011. ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები. თბილისი: მერიდიანი.

გაჩეჩილაძე, ს. 1957. ლიტმცოდნეობის შესავალი, თბილისი.

Virgil. 2006. *The Aeneid*. Translated by Fagles R. New York: Penguin Books.

Rhodus, Ap. 2008. "The Argonautica". With an English translation by Green P. California: California University Press.

Homer. 2015. *The Iliad*. With an English Translation by Green P. California: University of California Press.

Whallon, W. 2014. "Formula, Character and Context". In: *Encyclopedia of Ancient Greek Language and Linguistics*. Ed: Giannakis G. Leiden/Boston: Brill.

## Classics

### Secondary Foreteller Characters In Ancient Epic Poetry

**Vakhtang Endeladze**

Akaki Tsereteli State university  
Kutaisi, Georgia  
endeladze1994@gmail.com

*Secondary characters have a large role in opening the faces of the main characters. In ancient epic poetry, the character of the main character, his courage or impotence, appears through secondary characters. Secondary characters, in many cases, help the main characters to overcome this or that difficulty or obstacle. There are cases when the secondary characters, instead of helping the main characters, on the contrary, hinder them from achieving the set goal. Secondary characters, of course, may not receive as much attention as the main characters, such as Achilles, Jason, Medea, or Aeneas, but they are often more effective than epic characters. In the article we show the function of such secondary foreteller characters in ancient epic texts. They make it easy for the main characters to overcome the difficulties of the road and offer wise advice, which will eventually lead the heroes to the desired results.*

**Keywords:** secondary character, epic poetry, ancient hero, literature.

Secondary characters have a large role in opening the faces of the main characters. In ancient epic poetry, the character of the main character, his courage or impotence, appears through secondary characters. Secondary characters,

### ვ. ენდელაძე

---

in many cases, help the main characters to overcome this or that difficulty or obstacle. There are cases when the secondary characters, instead of helping the main characters, on the contrary, hinder them from achieving the set goal. Secondary characters, of course, may not receive as much attention as the main characters, such as Achilles, Jason, Medea, or Aeneas, but, they are often more effective than epic characters.

In the article we show the function of such foreteller secondary characters in ancient epic texts. They make it easy for the main characters to overcome the difficulties of the road and offer wise advice, which will eventually lead the heroes to the desired results.

In ancient epic texts, in addition to those with ordinary human qualities or powers, foreteller characters are actively involved. Their functional purpose is to warn the protagonist in advance of impending danger or joy. Through them, the main characters successfully complete this or that task, which is imposed by the will or destiny of the gods.

In this regard, an interesting character from the "Odyssey" is the old Halistheres - a birdman, who spoke to the Ithaca people when two eagles flew over the Ithaca houses with a strong flutter of their wings. Halisteres says: "Listen to me, Ithaca, I say this word for the sake of the bridegroom. They are in great danger. Odysseus should no longer be far from home. Somewhere near him, perhaps, he is preparing death for the bridegrooms, and not only for them, - many inhabitants of remote Ithaca will face a dark day "(Hom., *Odysseus*, 2,155-160).

An interesting character is foreteller Theoclimenes, who tells Penelope: "- Odysseus's worthy wife. Your son did not really know. Here I will tell you and trust my word. The sworn Zeus and Odysseus Keria swear that the owner of this house is here, in his native Ithaca. Somewhere nearby he spins and prepares to kill insolent bridesmaids. The appearance of an eagle in Pylos still told me this story when we were about to board a ship "(Hom., *Odysseus*, 17: 150-160). Theoclimenes awakens the expected joy of Penelope and announces that her husband will be back soon.

In the first book of the Argonauts, when the heroes lose Heracles on the way and are deeply saddened by this, Apollonius of Rhodes mentions the divine foreteller - Glaucus, who addresses the men: He is destined to perform and perform all twelve tasks for the merciless Evristeus in Argos, and then do a few other things as if the domestic were to live among the immortals; Therefore do not worry about it "(Apol., *Rod., Arg.*, 1, 1310-1320). The foreteller's function is to disturb the heroes and convince them that nothing bad will happen to

Heracles, He explains to the Argonauts how Heracles will perform the twelve Tasks.

There are prophecies that are not obligatory for him to reveal, and if the latter dares to do so, God will punish him accordingly. That's how the foreteller Phineas was punished for pre-disclosing messages. He was telling everyone what to expect. In describing his portrait, the author emphasizes that he was old, blind, and that his punishment was that the harpies were eating food (2, 330-350). In the fifth book of "Aeneid" there is such a secondary character - old Nave, whom the author refers to as "educated" and "famous with great knowledge". In this way he can tell Aeneas what causes the wrath of the gods, what fate prepares him for.

In the ninth song of "Odyssey", when the protagonist fills the eyes of Cyclops Poliphemus, when he leaves, the protagonist will call him, if someone asks you who opened your eyes, tell him, Laertes' son, Odysseus. Polyphemus will immediately remember and say, the foreteller Telemos predicted that someone Odysseus would fill his eyes. Here the foreteller Telemos is important in that he knows in advance how Odysseus will punish Cyclops. The fact that the clever hero escaped peacefully from the Cyclops cave was both the will of the gods and the result of the hero's own efforts.

In the tenth book of Aeneid, when Aeneas meets the goddess of the sea, who also has the gift of meaning, tells the protagonist that if he believed his words, he would see the corpse of countless rituals in the field.

In view of all the above, we can conclude that the secondary foreteller characters are distinguished by the fact that they announce in advance to the main characters what awaits them, which, of course, makes it easier for the hero to perform this or that difficult task.